ᲐᲯᲐᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲓᲘᲝ
ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲐᲣ�წᲧᲔᲑᲔᲚᲘ
საქართველო, 6010,ბათუმი მემედ აბაშიძის, 41
41, Memed Abashidze av. Batumi, 6010, Georgia
Tel : + 995 422 274370/274382
Fax: + 995 422 274384/274371
info@ajaratv.ge
ajaratv.ge

N 02-03/2
18.03.2024

2--4-202403181746

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

,,სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიასა და რადიოში კოლეგიური ორგანოების დებულებების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევია და რადიო“-ს დირექტორის 2016 წლის 18 თებერვლის N02-03/05 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 14 მარტის N578 გადაწყვეტილებით დამტკიცდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს (შემდეგში - ,,მაუწყებელი“) დებულების (შემდეგში - ,,დებულება“) ახალი პროექტი.

მაუწყებლის შიდა სამართლებრივი აქტების დებულებასთან შესაბამოსობაში მოყვანის მიზნით, მიზანშეწონილია, ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში კოლეგიური ორგანოების დებულებების დამტკიცების შესახებ“ მაუწყებლის დირექტორის 2016 წლის 18 თებერვლის N02-03/05 ბრძანება, ვინაიდან მოქმედი დებულება აღარ ითვალისწინებს კონკრეტული კოლეგიური ორგანოების არსებობის ვალდებულებას. დებულების 6.2. პუნქტის თანახმად, მაუწყებელში სათათბირო კოლეგიური ორგანოები შესაძლებელია შეიქმნას მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე და 61-ე მუხლების, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის, სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 14 მარტის N578 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს დებულება“-ის მე-8 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში კოლეგიური ორგანოების დებულებების დამტკიცების შესახებ“ მაუწყებლის დირექტორის 2016 წლის 18 თებერვლის N02-03/05 ბრძანება.
2. წინამდებარე ბრძანება დაეგზავნოს მაუწყებლის ყველა სტრუქტურულ ერთეულს.
3. იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის, საქმისწარმოების განყოფილებამ უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის №30), მისი მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

ვლადიმერ ტატიშვილი

დირექტორი